## საზედაო ასო როგორც მხატვრული ელემენტი ქართულ ხელნაწერებში

ქართული ხელნაწერი წიგნი წარმოადგენსეროვნული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფენომენს, რომელშიც ტექსტთან ერთად განსაკუთრებულ როლს ასრულებს მისი მხატვრული გაფორმება. ამ კონტექსტში საზედაო ასო გვევლინება როგორც ტექსტის სტრუქტურული და, ამავე დროს, დეკორატიული ელემენტი, რომლის განვითარება ნათლად წარმოაჩენს ქართულ ხელნაწერებში მისი ფორმირების, გაფორმებისა და მხატვრული სახის ეტაპობრივ ჩამოყალიბებას.

კვლევის მიზანია ქართული ხელნაწერების მაგალითზე საზედაო ასოს ფორმირებისა და მხატვრული ტრანსფორმაციის ეტაპების გამოკვეთა. ნაშრომში განხილულია IX–XIII საუკუნეების მნიშვნელოვანი ხელნაწერები, მათ შორის: ადიშის, ჯრუჭის, გელათის, ვანისა და მოქვის ოთხთავები.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი, შედარებითი მეთოდი და ვიზუალური მასალის კვლევა. გაანალიზებულია საზედაო ასოების ფორმა, ფერი, ორნამენტული სისტემა და მათი ფუნქციური დატვირთვა სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საწყის ეტაპზე საზედაო ასო მხოლოდ ფუნქციური მნიშვნელობის მატარებელი, სინგურით შესრულებული ელემენტი იყო. დროთა განმავლობაში იგი გარდაიქმნა რთულ ორნამენტულ კომპოზიციად და საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მხატვრულ ფორმად. აღნიშნული პროცესი ნათლად ასახავს საზედაო ასოების განვითარების ძირითად ეტაპებს ქართულ ხელნაწერებში.

**Ketevan Verulidze**
Batumi Art State University
BA Program in Art Studies, 2nd Year
**Supervisor:** Assistant Professor Natia Kvachadze
Georgia, Batumi

## Initial Letter as an Artistic Element in Georgian Manuscripts

Georgian manuscript books represent one of the most significant phenomena of national culture, in which, alongside the text, a special role is played by their artistic decoration. In this context, the initial letter appears as both a structural and, at the same time, a decorative element of the text, whose development clearly demonstrates the stages of its formation, ornamentation, and artistic shaping in Georgian manuscripts.

The aim of the study is to identify the stages of the formation and artistic transformation of the initial letter based on examples of Georgian manuscripts. The paper discusses important manuscripts of the 9th–13th centuries, including the Adishi, Jruchi, Gelati, Vani, and Mokvi Gospels.

The methodological basis of the research includes art historical analysis, the comparative method, and the study of visual material. The form, color, ornamental system, and functional role of the initial letters are analyzed across different historical periods.

As a result of the research, it was determined that at the initial stage the initial letter carried only a functional meaning and was executed in cinnabar. Over time, it transformed into a complex ornamental composition and ultimately developed into an independent artistic form. This process clearly reflects the main stages of the development of initial letters in Georgian manuscripts.

**ნინი გოგიტიძე**

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრიატის პირველი კურსი
**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი- ნინო ხარჩილავა.
საქართველო, ბათუმი

## სიცოცხლის ხის მოტივი ქართულ ორნამენტში

ხე - უძველესი სიმბოლოა, რომელიც პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ცივილიზაციაში არსებობდა. ეს სიმბოლო სამყაროს, ცხოვრების კანონებსა და ადამიანს ამთ-ლიანებს და კოსმოსს ცოცხალ ორგანიზმად წარმოგვისახავს სიცოცხლის ხე, მცენა-რეთა სიმბოლიკის კოლორიტული სახე, ცნობილია უძველესი დროიდან. საქართვე-ლოში გავრცელებული ყოფილა ხის კულტი. მის შესახებ არსებობს როგორც წერილობითი ცნობები ძველ საისტორიო მწერლობაში, ისე ზეპირი - ხალხურ გადმოცემებში. სხვადასხვა კუთხეებში მრავალი ხე, ხევნარი და ტყე წმინდად არის მიჩნეული და თაყვანისცემის ობიექტს წარმოადგენს. მთებში სამლოცველო-ხატების გარშემო მდებარე ტყეები წმინდაა და შეუვალი - იქედან ნაფოტის გამოტანა არ შეიძლება. ამდენად, ხის თაყვანისცემა უძველესი დროიდან არსებობდა, ხოლო ქრისტიანობის შემოსვლისა და დამკვიდრების შემდეგ ხის კულტი უფრო მეტად განმტკიცდა და გაძლიერდა, რაც გამოიხატება სხვადასხვა ორნამენტსა და ზეპირსიტყვიერებაში დაცული მასალის მიხედვით.

წინამდებარე მოხსენებაში განიხილავ „სიცოცხლის ხეს“ ქართულ ორნამენტში, როგორც ერთ-ერთ ცენტრალურ სიმბოლურ ელემენტს. ნაშრომში განხილულია მისი გამოვლენა სხვადასხვა ხელოვნების დარგში: ნაქარგობა, ხალიჩა და ხის კვეთა.

ქართული ხელოვნება კარგად იცნობს სიცოცხლის ხის ორნამენტებს, ეს ორნამენტები საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზეა შემორჩენილი. „სიცოცხლის ხე“ ქართულ ორნამენტში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა, რომელიც ასახავს სიცოცხლის უწყვეტობას, ჰარმონიას და კოსმოლოგიურ წარმოდგენებს. „სიცოცხლის ხე“ ქართულ ორნამენტში წარმოადგენს მრავალშრიან სიმბოლოს, რომელიც ერთდროულად ასახავს ესთეტიკურ, კოსმოლოგიურ და კულტურულ მნიშვნელობებს.

„სიცოცხლის ხის“ მოტივი ქართულ ორნამენტში წარმოადგენს მრავალშრიან, კარგად სტრუქტურირებულ კომპოზიციას. მისი ცენტრი, ტოტები, ფოთლები და ნაყოფი ერთობლივად ქმნიან სიმბოლური და ესთეტიკური ერთიანობის სრულყოფილ მოდელს. აღნიშნული ელემენტები არა მხოლოდ ვიზუალურ ფუნქციას ასრულებენ, არამედ ატარებენ ღრმა კულტურულ და რიტუალურ მნიშვნელობას.

ამრიგად, ნაქარგობაში „სიცოცხლის ხე“ არა მხოლოდ დეკორატიული ელემენტია, არამედ ატარებს დამცავ ფუნქციას - მისი გამოსახულება იცავს ოჯახურ სივრცეს ბოროტი ძალებისგან. ხალიჩის ტექსტურაში „სიცოცხლის ხე“ უზრუნველყოფს არა მხოლოდ დეკორატიულ ეფექტს, არამედ აღნიშნავს სიცოცხლის უწყვეტობისა და ოჯახის კეთილდღეობის იდეას. ხის კვეთის მოტივში ასახავს არა მხოლოდ ესთეტიკას, არამედ კულტურულ-საკრალურ მნიშვნელობას, რომელიც დამცველ ფუნქციას ატარებს შენობის ინტერიერში.

**Nini Gogitidze**
Batumi Art State University
BA Program in Art Studies, 1st Year
**Supervisor:** Associate Professor Nino Kharchilava
Georgia, Batumi

## The Motif of the Tree of Life in Georgian Ornamentation

A tree is an ancient symbol that has existed in practically all civilizations of the world. This symbol unites the world, the laws of life and man, and presents the cosmos as a living organism. The tree of life, a colorful form of plant symbolism, has been known since ancient times. The cult of the tree has been widespread in Georgia. There are both written and oral references to it in ancient historical writings and in folk traditions. In different corners, many trees, groves and forests are considered sacred and are objects of worship. In the mountains, the dense forests around the chapels and icons are sacred and impenetrable - no twigs can be taken out of there. Thus, tree worship has existed since ancient times, and after the arrival and establishment of Christianity, the tree cult became even more strengthened and strengthened, which is reflected in various ornaments and materials preserved in oral tradition.

This report discusses the ,,Tree of Life“ in Georgian ornament as one of the central symbolic elements. The paper discusses its manifestation in various fields of art: embroidery, carpets and wood carving.

Georgian art is well acquainted with the ornaments of the Tree of Life, these ornaments have survived in various territories of Georgia. The “ ,,Tree of Life“ is one of the most common symbols in Georgian ornament, reflecting the continuity of life, harmony and cosmological ideas. The ,,Tree of Life“ in Georgian ornament is a multi-layered symbol that simultaneously reflects aesthetic, cosmological and cultural meanings.

The „Tree of Life“ motif in Georgian ornament is a multi-layered, well-structured composition. Its center, branches, leaves and petals together create a perfect model of symbolic and aesthetic unity. These elements not only serve a visual function, but also carry deep cultural and ritual meaning.

Thus, in embroidery, the „Tree of Life“ is not only a decorative element, but also carries a protective function - its image protects the family space from evil forces. In the texture of the carpet, the “Tree of Life” provides not only a decorative effect, but also denotes the idea of the continuity of life and family well-being. The woodcarving motif reflects not only aesthetics, but also cultural and sacred meaning, which serves a protective function within the building.

**Anna Mkrtchyan**
State Academy of fine Arts of Armenia
Art History and Humanities, Art History, Bachelor’s Degree, Third Year
**Supervisor:** Anna Galstyan-Doctor of Arts, Senior
Armenia, Erevan

## Raoul Hague. The modern and the national in American sculpture

This paper is devoted to the analysis of Raoul Hague’s artistic work within the framework of contemporary art criticism, with particular emphasis on the interrelation between the concepts of the “modern” and the “national” in American sculpture. Hague’s art is examined as a unique example in which tendencies toward the preservation of cultural identity are combined with the search for a modern artistic language.

The aim of the paper is to reveal how Hague integrates national traditions with the expressive means of contemporary art in his works, thereby forming new aesthetic approaches. The formal and conceptual characteristics of his sculptures are discussed, along with the

principles behind his choice of materials and the influence of cultural heritage on his artistic practice.

Special attention is also given to the significance of Hague’s activity within the theoretical field of contemporary art, considering him as a bearer of cultural dialogue. The paper explores how his art reflects issues of national identity in the context of globalization and how it reinterprets traditional values within the modern artistic environment.

As a result, Raoul Hague’s work is presented as an important example that synthesizes national and modern principles, contributing to the development of American sculpture and to the enrichment of theoretical understandings of contemporary art.

**Amina Balbussinova**
Kazakh National University of Arts
Faculty of Art Painting and sculpture (easel painting) Bachelor
**Supervisor:** Zhukenova Zhazira, Grand PhD in Arts/ Associate Professor
Kazakhstan, Astana

## Globalization and National Identity: The Role of Abay Kunanbayev in Modern Society through the Perspective of Fine Art

The article explores the pressing issue of opposing globalization and preserving local traditions. In today's rapidly changing world, where technology and digitalization are transforming the way we live and interact, young people face the risk of losing their cultural identity and traditional values. Abay's philosophy plays a crucial role here, acting as a spiritual compass that integrates traditional Kazakh values with universal principles. Kazakh artists take into account the young generation's clip-based thinking and their emphasis on visual perception of information, offering a unique approach to revealing the philosopher's personality. Artists use the

image of Abay in their works as a key to educating young people. Visual images capture attention better than traditional texts, enhancing understanding of philosophical concepts. Each artwork featured in the article is accompanied by words of Abai's wisdom, which resonate with the essence of the piece. The article highlights the significance of art as a vital instrument for disseminating knowledge and influencing public awareness. It establishes a link between historical contexts and contemporary experiences while also paving the way for future possibilities. This role is crucial for maintaining national identity in the context of an increasingly globalized society. Abai's philosophy, vividly illustrated in various artworks, offers a solution to the significant issue. In summary, it presents a moral framework for the younger generation, steering them towards fundamental truths. By adopting this approach, young people can gain profound self-awareness and preserve cultural values while also embracing the positive aspects of globalization.

**Jenni Karapetyan**
State Academy of Fine Arts of Armenia
Faculty of Art History and Theory, 3rd-year PhD student in the program Fine Arts, Decorative Arts and Applied Arts, Design
**Supervisor:** Associate Professor Knarik Avetisyan, PhD in Art History
Armenia, Yerevan

## Reinterpretation of the Image of Women in the Works of Sargis Muradyan in the Context of Modern Reality

This article examines the reinterpretation of the female image in the works of the prominent Armenian painter Sargis Muradyan (1927–2007) within the context of contemporary cultural discourse. The study aims to analyze how the artist conceptualizes the image of

woman as a complex aesthetic, psychological, and ideological construct.

In Muradyan’s oeuvre, the female figure is presented as a character endowed with a rich inner world, introspection, and dignity, embodying the preservation of national memory and cultural values. The artist’s portraits frequently employ frontal or semi-frontal compositions, often set against reduced or neutral backgrounds, thereby intensifying psychological tension and emphasizing inner concentration. His restrained chromatic palette, dominated by earthy and muted tones, functions as a means of revealing the psychological depth of the figures while avoiding excessive decorativeness and reinforcing emotional restraint.

Within contemporary cultural discourse, where the representation of women is increasingly examined through the frameworks of identity and social redefinition, Muradyan’s female images acquire renewed interpretative relevance. Their compositional rigidity, introspective gaze, and structural stability allow them to be understood not merely as portraits, but as visual formulations of inner resistance and cultural identity.

Therefore, Muradyan’s artistic legacy transcends the temporal boundaries of its era and may be interpreted as a culturally relevant artistic statement that continues to resonate with contemporary audiences.

**მარიამ თავდგირიძე**
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრიატის მეოთხე კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - რატი ჩიბურდანიძე.
საქართველო, ბათუმი

## გიგო გაბაშვილი ქართული რეალისტური ფერწერის ფუძემდებელი

გიგო გაბაშვილი - ქართული რეალისტური ფერწერის ერთ-ერთი ფუძემდებელია. როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოში ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა მანამდე უცნობი დაზგური ფერწერა. უცხოელი ოსტატების გვერდით ასპარეზზე გამოჩნდნენ ქართველი მხატვრებიც, რომლებმაც პროფესიული განათლება რუსეთსა და ევროპაში მიიღეს. ახალი ქართული ფერწერის პირველ თაობას შორის (გ. მაისურაძე, ა. ბერიძე და სხვ.) გაბაშვილს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მხატვრის შემოქმედებამ ქართული სახვითი ხელოვნება მნიშვნელოვნად გაამდიდრა: მრავალმხრივი მოღვაწეობით მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ ჟანრულ და ბატალურ ფერწერას, ფსიქოლოგიური სიღრმე შესძინა პორტრეტულ სახეებს, რითაც თანადროული მხატვრობა ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

გიგო გაბაშვილის შემოქმედებითი აღმავლობის პერიოდი ძირითადად დაკავშირებულია მის რეალისტურ ფერწერასთან, რომელიც მოიცავს XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისს. გაბაშვილს განსაკუთრებით იზიდავდა „სახასიათო ტიპაჟები“, სადაც იგი პერსონაჟის არა მხოლოდ ინდივიდუალურ ხასიათს, არამედ სოციალურ იდენტობასაც წარმოაჩენდა. სწორედ ამ ეტაპზე შეიქმნა მისი

მნიშვნელოვანი ნამუშევრები, როგორიცაა: „ალავერდობა“, „მთვრალი ხევსური“ და სხვ. ნამუშევრებში იკვეთება რეალისტური პრინციპები — ფორმის მკაფიოობა და კომპოზიციური სიზუსტე; ისინი ზუსტად ასახავს ისტორიულ, ცხოვრებისეულ და ეთნოგრაფიულ თემებს და გამოირჩევა როგორც ნატურალისტური სიზუსტით, ისე თავისუფალი ფაქტურული მონასმებით.

გ. გაბაშვილმა პირველმა გააფართოვა ქართული მხატვრობის თვალსაწიერი და დაამკვიდრა ნაციონალური თემატიკა, რაც მის უმთავრეს ისტორიულ დამსახურებად მიიჩნევა.

**Mariam Tavdgiridze**
Batumi Art State University
BA Program in Art Studies, 4th Year
**Supervisor:** Professor Rati Chiburdanidze
Georgia, Batumi

## Gigo Gabashvili - Founder of Georgian Realist Painting

Gigo Gabashvili is one of the founders of Georgian realist painting. As is known, from the beginning of the 19th century, easel painting—previously unknown in Georgia—gradually began to take root. Alongside foreign masters, Georgian artists also appeared on the scene, having received professional education in Russia and Europe. Among the first generation of new Georgian painting (G. Maisuradze, A. Beridze, and others), Gabashvili holds a special place. The artist’s work significantly enriched Georgian fine art: through his multifaceted activity he laid the foundation of Georgian genre and battle painting, and brought psychological depth to portrait images, thereby elevating contemporary art to a new level.

Gigo Gabashvili's period of creative development is mainly associated with his realist painting, which covers the late 19th and early 20th centuries. Gabashvili was especially attracted to "character types," where he portrayed not only the individual character of a person but also their social identity.
It was during this stage that his important works were created, such as "Alaverdoba," "The Drunken Khevsur," and others. In these works, realist principles are clearly expressed — clarity of form and compositional precision; they accurately depict historical, every day, and ethnographic themes and are distinguished by both naturalistic precision and free, textured brushwork.
G. Gabashvili was the first to broaden the scope of Georgian painting and to establish national themes, which is considered his most important historical contribution.

# თეატროლოგია / Theatre Studies

**ნინო გოგიბერიძე**
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ხელოვნებათმცოდნეობა, ბაკალავრიატის მეოთხე კურსი
ხელმძღვანელი: პროფესორი - თეიმურაზ კეჟერაძე
საქართველო, ბათუმი

## მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ქართული რეჟისურა და სასცენო სივრცის ორგანიზება

თანამედროვე ქართული თეატრის სასაცენო „ენის“ წარმოშობა დაკავშირებულია არა მხოლოდ მე-19, მე-20 საუკუნის განახლებასთან ევროპულ (მათ შორის ქართულ) დრამატურგიასა და სამსასიობო ხელოვნებაში, არამედ სასცენო სივრცის მოწყობის რეფორმირებასთანაც. აღნიშნული პერიოდისათვის დამახასიათებელია როგორც თეატრალური პრაქტიკის, ასევე თეორიის მრავალმხვრივი განვითარება. სათეატრო ხელოვნება განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპზე გადადის, ყალიბდება ახალი თეატრალური პროფესია – რეჟისორი. თეატრმა შეიძინა თავისი მხატვრული ქმნილების (სპექტაკლის) ახალი ავტორი, რომელმაც თეატრში ლიდერის პოზიცია დაიმკვიდრა. იგი ხდება სპექტაკლის ყველა კომპონენტის გამაერთიანებელი. სადადგმო ხელოვნებაში დაიწყო რეჟისორთა მრავალფეროვანი ექსპერიმენტების, მიებების, პოლემიკის და დაპირისპირების პერიოდი.

თავად მცნება „სასცენო სივრცე", როგორც სპექტაკლის სტრუქტურული საფუძველი, წარმოიშვა ესთეტიკური რევოლუციის პროცესში, რომელიც პროზასა და თეატრში ნატურალისტებმა (ემილ ზოლა პროზაში, ანდრე ანტუანი თეატრში) წამოიწყეს. მე-19 საუკუნის 70-იან წლებში მენინგემელების ე.წ. მოხატული დეკორაციები მსახიობთა შესრულების მხოლოდ ფონს წარმოადგენდა. ხოლო ანტუანის თავისუფალ თეატრში დეკორაციამ შეიძინა სრულიად ახალი დანიშნულება. იგი აღარ ასრულებს ლამაზი ფონის პასიურ ფუნქციას, რომლის წინ ვითარდება მსახიობის მოქმედება, დეკორაციამ შეიძინა სრულიად ახალი დატვირთვა, იგი იქცა მოქმედების კონკრეტული ადგილის განმსაზღრელად. იმ ადგილის, სადაც პიესის თანახმად მიმდინარეობს პერსონაჟების ცხოვრება.

საუკუნეთა მიჯნაზე ევროპულ და რუსულ თეატრში მიმდინარე პროცესები რთულად, მაგრამ, თანმიმდევრულად აისახა მე-20 საუკუნის დასაწყისის (განსაკუთრებით 10-იანი წლების) ქართულ თეატრში. ხოლო კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი ძიებები ზოგადევროპული თეატრის განვითარების მნიშვნელოვან საფუძვლად იქცა.

**Nino Gogiberidze**
Batumi Art State University
BA Program in Art Studies, 4th Year
**Supervisor:** Professor Teimuraz Kezheradze
Batumi, Georgia

## Georgian Directing of the 1910s and the Organization of Stage Space

The development of modern Georgian theatre is closely linked not only to the renewal of European (including Georgian) drama and acting in the late 19th and early 20th centuries, but also to changes in the organization of stage space. During this period, both theatrical practice and theory developed actively. Theatre moved to a new stage, where a new key figure appeared—the director. The director became the main creator of the performance, bringing together all its elements and playing a leading role in the staging process. This time was marked by experiments, new ideas, and creative debates in theatre.

The concept of “stage space” as an important part of a performance developed during an aesthetic shift initiated by naturalist artists (Émile Zola in literature and André Antoine in theatre). In the 1870s, the painted sets of the Meiningen Ensemble mainly served as a background for actors. However, in Antoine’s Théâtre Libre, stage design gained a new function. It was no longer just decorative, but became an active part of the performance, helping to define the place where the action of the play unfolds.

The changes taking place in European and Russian theatre at the turn of the century were gradually reflected in Georgian theatre of the early 20th century, especially in the 1910s. The creative work of Kote Marjanishvili and Sandro Akhmeteli played an important role in shaping modern theatre and connected Georgian theatre to broader European developments.

**თამარ დვალიშვილი**
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თეატროლოგია, მაგისტრატურის პირველი კურსი
**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი - მარინე
(მაკა) ვასაძე
საქართველო, თბილისი

# სცენოგრაფია, როგორც სივრცე ირაკლი გამრეკელის მოდერნისტული ხედვა

ნაშრომი ეძღვნება XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული თეატრის ერთ-ერთ გამორჩეულ სცენოგრაფს — ირაკლი გამრეკელს და მის მოდერნისტულ სცენოგრაფიულ ხედვას. კვლევის მიზანია გამოიკვეთოს, თუ როგორ გარდაქმნა გამრეკელმა სცენოგრაფია დეკორატიული ფუნქციის მქონე ელემენტიდან თეატრალური აზროვნების დამოუკიდებელ სივრცით სისტემად, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სპექტაკლის დრამატურგიული კონცეფციის ფორმირებაში.

კვლევაში განხილულია ქართული თეატრის ისტორიული განვითარების კონტექსტი — ხალხური სანახაობრივი ტრადიციებიდან პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებამდე — და ის კულტურულ-ესთეტიკური გარემო, რომელშიც მოდერნისტული ტენდენციები დამკვიდრდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის რეჟისორულ პრაქტიკას, რომლებთან თანამშრომლობაშიც ჩამოყალიბდა გამრეკელის სცენოგრაფიული ხელწერა.

ნაშრომში გაანალიზებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სპექტაკლის სცენოგრაფია, მათ შორის „სალომეა“, „ლონდა“, „ლამარა“ და „ინ ტირანნოს“. კვლევა აჩვენებს, რომ გამრეკელის სცენოგრაფია ეფუძნება კონსტრუქტივისტულ და ავანგარდულ ესთეტიკას, სადაც სივრცე ორგანიზებულია არქიტექტონიკურად, გეომეტრიული ფორმების, მრავალპლანიანი კომპოზიციისა და შუქ-ჩრდილის დინამიკის გამოყენებით. ამგვარი გადაწყვეტა სცენურ გარემოს გარდაქმნის არა მხოლოდ ვიზუალურ დეკორაციად, არამედ სპექტაკლის ემოციური და სიმბოლური მნიშვნელობების მატარებელ სტრუქტურად.

კვლევის შედეგად დგინდება, რომ ირაკლი გამრეკელის სცენოგრაფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქართული მოდერნისტული თეატრის ფორმირებაში და ქმნის თეატრალური სივრცის ახალ მოდელს, სადაც სცენა განიხილება როგორც აქტიური, მრავალშრიანი და კონცეპტუალურად ორგანიზებული მხატვრული გარემო.

**Tamar Dvalishvili**
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
MA Program in Theatre Studies, 1stYear
**Supervisor:** Associate Professor Marine (Maka) Vasadze
Tbilisi, Georgia

## Scenography as Space: The Modernist Vision of Irakli Gamrekeli

This paper examines the modernist scenographic vision of Irakli Gamrekeli, one of the most influential stage designers in Georgian theatre of the first half of the twentieth century. The study aims to analyze how Gamrekeli transformed scenography from a decorative

theatrical element into an autonomous spatial system that actively participates in shaping the dramaturgical structure of a performance.

The research considers the historical development of Georgian theatre, from traditional folk performance practices to the establishment of a professional theatrical stage, as well as the cultural and aesthetic context in which modernist tendencies emerged. Particular attention is given to the directorial practices of Kote Marjanishvili and Sandro Akhmeteli, whose collaborations with Gamrekeli played a crucial role in shaping his distinctive scenographic language.

The paper analyzes the scenographic concepts of several important productions, including “Salome”, “Londa”, “Lamara”, and “In Tyrannos”. The analysis demonstrates that Gamrekeli’s work reflects the influence of avant-garde and constructivist aesthetics, where stage space is organized architectonically through geometric structures, multi-layered composition, and the expressive use of light and shadow. Such an approach transforms the stage environment into a complex visual and conceptual structure that contributes to the emotional and symbolic dimension of the performance.

The study concludes that Gamrekeli’s scenography played a decisive role in the development of modernist theatre in Georgia and introduced a new understanding of theatrical space as an active, multilayered, and conceptually structured artistic environment.

**ანასტასია ჩერნეცოვა**

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.
თეატროლოგია, მაგისტრატურის პირველი კურსი
**ხელმძღვანელი :** ასოცირებული პროფესორი -
მარინე (მაკა) ვასაძე
საქართველო, თბილისი

## დრამის კრიზისი თუ კრიზისის დრამა ?!

„ახალი დრამა“, როგორც XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ევროპულ თეატრში ჩამოყალიბებული მიმდინარეობა, წარმოადგენს როგორც ტრადიციული დრამატურგიული ფორმების წინააღმდეგ მიმართულ პროცესს, ასევე თანამედროვე ადამიანის შინაგანი და სოციალური კრიზისის გამოხატვის საშუალებას.

ნაშრომის მიზანია, გაირკვეს, არის თუ არა „ახალი დრამა“ დრამის კრიზისის დაძლევის მცდელობა, თუ თავადაა ამ კრიზისის გამომხატველი, როგორც ამას პეტერ სონდი განიხილავს. კვლევის შედეგად იკვეთება, რომ „ახალი დრამის“ დრამატურგები — ჰენრიკ იბსენი, ანტონ ჩეხოვი, ავგუსტ სტრინდბერგი და სხვები — უარს ამბობენ კლასიკური დრამატურგიის ძირითად პრინციპებზე და ყურადღებას ამახვილებენ პერსონაჟთა შინაგან მდგომარეობებზე.

მათ შემოქმედებაში ქმედება მეორეხარისხოვანი ხდება, დიალოგი მონოლოგიზდება, ირღვევა დროისა და სივრცის ერთიანობა, ხოლო პერსონაჟები ხშირად არსებობენ წარსულში ან ილუზიებში, რაც მათ ეგზისტენციალურ კრიზისზე მიუთითებს. ამგვარად, დრამა კარგავს

ტრადიციულ ფორმას, თუმცა ამავე დროს იძენს ახალ მხატვრულ ფუნქციას.

ამ პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ დრამატურგიაზე, არამედ სათეატრო პრაქტიკაზეც — დამოუკიდებელი თეატრების ჩამოყალიბებასა და ახალი რეჟისორული სისტემების განვითარებაზე.

საბოლოოო ჯამში, „ახალი დრამა“ შეიძლება განვიხილოთ როგორც დრამის კრიზისის შედეგი და ამავე დროს, როგორც კრიზისის დრამა, რომელიც ფორმის რღვევის გზით ქმნის ახალ თეატრალურ ენას.

**Anastasia Chernetsova**
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
MA Program in Theatre Studies, 1st Year
**Supervisor:** Associate Professor Marine (Maka) Vasadze
Tbilisi, Georgia

## Drama of Crisis or Crisis of Drama?!

“New Drama,” as a movement that emerged in European theatre at the turn of the 19th and 20th centuries, represents both a process directed against traditional dramaturgical forms and a means of expressing the inner and social crisis of modern individuals.

The aim of this paper is to determine whether “New Drama” constitutes an attempt to overcome the crisis of drama or whether it is itself an expression of this crisis, as discussed by Peter Szondi. The study reveals that the playwrights of “New Drama” — Henrik Ibsen, Anton Chekhov, August Strindberg, and others — reject the fundamental principles of classical dramaturgy and focus instead on the inner states of their characters.

In their works, action becomes secondary, dialogue is transformed into monologue, the unity of time and space is disrupted, and characters often exist in the past or in illusions, reflecting their existential crisis.

Thus, drama loses its traditional form, yet simultaneously acquires a new artistic function.
This process has significantly influenced not only dramaturgy but also theatrical practice, including the emergence of independent theatres and the development of new directing systems.
Ultimately, “New Drama” can be understood both as a result of the crisis of drama and as the drama of crisis itself, which, through the breakdown of form, creates a new theatrical language.

## კინომცოდნეობა/ Film Studies

**მარიამ ახალკაცი**
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
კინომცოდნეობა, დოქტორანტურის მესამე კურსი
**ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი- ქეთევან ტრაპაიძე
საქართველო, თბილისი

### გმირი, დაკარგული „მე”-ს ძიებაში.
### (80-ნი წლების და 21-ე საუკუნის მაგალითებზე)

მოხსენებაში გაანალიზებულია, რას ნიშნავს გმირისთვის, საკუთარი „მე”-ს ძიება და რაოდენ სირთულეებით აღსავსე საკითხია, იგი. ასევე საუბარია, რომ მნიშვნელოვანია, პიროვნებამ იპოვნოს საკუთარი ადგილი, ცხოვრებაში. კინემატოგრაფი უამრავ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, ძველი პერიოდიდან, თანამედროვე ეპოქის ჩათვლით, ხოლო, „მე”-ს ძიება კი, უდაოდ, ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი და აქტუალური თემაა, კინოში, 80-იანი წლებდან, 21-ე საუკუნის ჩათვლით.

ნამუშევარში იკვეთება, საკითხის მნიშვნელობა - რაოდენ აუცილებელია, გმირის მიერ, მისი „მე”-ს ძიება და ადგილის დამკვიდრება, ასევე, ამ ცხოვრებისეულ გამოწვევას, მარტივად უმკლავდებიან, თუ უჭირთ ასეთი სირთულის გადაწყვეტა. როდესაც პერსონაჟები ხვდებიან, რომ ცხოვრების გასაგრძელებლად აუცილებელია საკუთარი პიროვნების პოვნა, დგამენ ნაბიჯს, თუ არიან უმოქმედოდ. ეს საკითხი, თანმდევი სირთულეებით, განხილულია, შემდეგ ნამუშევრებზე დაყრდნობით, სოსო ჩხაიძის ფილმი - „თუში მეცხვარე“, 1976 წ. და გიორგი ლევაშოვ-თუმანიშვილის - „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, 1984 წ. საუბარია, 80-ნი წლებისგან განსხვავებით, როგორია თანამედროვე ეპოქაში არსებული კინოგმირი, რომელიც ხასიათდება, საკუთარი „მე”-ს ვერ დამკვიდრების საკითხით და ამის მნიშვნელოვანი მაგალითია, გიგა ლიკლიკაძის ფილმი - ,,ღორი”, 2019 წ.

ნაშრომში იკვეთება გმირების დამოკიდებულება საკითხისადმი და თითოეული მათგანის მყოფადობა, ეპოქის ცვლილების შესაბამისად.

**Mariam Akhalkatsi**
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
PhD Program in Film Studies, 3rd Year
**Supervisor:** Associate Professor Ketevan Trapaidze
Georgia, Tbilisi

## Hero in search of the lost „self”
## (Based on examples from the 1980s and the 21st century)

The present paper advances a theoretically grounded and critically informed analysis of the hero’s quest for the „self,” construed as a fundamentally complex, multilayered, and ontologically charged

phenomenon. It seeks to elucidate the conceptual, semantic, and existential dimensions of self-identification, while simultaneously foregrounding the imperative for the subject to locate, negotiate, and ultimately consolidate their position within the continuum of lived experience. Across its historical development - from earlier cinematic traditions to contemporary visual culture - cinematography has persistently functioned as a discursive space for the articulation of diverse socio-cultural, philosophical, and psychological problematics. Within this framework, the pursuit of the „self" emerges as a paradigmatic and enduring thematic construct, particularly salient in films spanning from the 1980s to the 21st century.

The study problematizes the epistemological and existential stakes of this process by interrogating the extent to which the hero's search for selfhood operates as a necessary precondition for both subjective coherence and narrative actualization. It further examines the modalities through which this existential trajectory unfolds - whether through agentive self-determination and transformative praxis, or through passivity, alienation, and internal fragmentation. Particular emphasis is placed on moments of self-reflexive awareness, wherein characters confront the ontological necessity of identity formation as a prerequisite for existential continuity, thereby raising critical questions regarding agency, volition, and the capacity for self-actualization.

These theoretical concerns are substantiated through close analysis of selected cinematic texts, including Tushi Mtskvare directed by Soso Chkhaidze and Snow Fell on the Winter Gardens directed by Giorgi Levashov-Tumanishvili. In contrast to the representational paradigms characteristic of late Soviet-era cinema, the paper further interrogates the reconfiguration of the cinematic hero within the context of contemporary film discourse, wherein subjectivity is frequently marked by instability, dislocation, and the erosion - or outright failure - of coherent selfhood. A salient example of this tendency is Ghori directed by Giga Liklikadze.

In conclusion, the research delineates the evolving configurations of the hero’s engagement with the problematic of identity, situating these transformations within broader shifts in historical temporality, cultural paradigms, and cinematic discourse. It thereby underscores the dynamic interplay between individual subjectivity and epochal change, revealing the search for the „self” as a central axis of meaning production in filmic narrative.

**ნუცა ლამპარაძე**
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი
აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, კინორეჟისურა;
ტელერიჟისურა, ბაკალავრიატის პირველი კურსი
**ხელმძღვანელი :** ხელოვნების თეორიისა და ისტორიის
დოქტორი - ინგა ხალვაში

## ქალის სახე, მისტიკა და იდენტობა დევიდ ლინჩის კინემატოგრაფიაში

დევიდ ლინჩის კინემატოგრაფია გამოირჩევა სიურეალისტური ესთეტიკით, სადაც რეალობისა და ილუზიის საზღვრები იშლება. ლინჩთან ქალი პერსონაჟები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ხშირად გვევლინებიან როგორც იდენტობის კრიზისის, ქვეცნობიერის და ფსიქოლოგიური დაძაბულობის მატარებლნი. პერსონაჟები მერყეობენ განსხვავებულ რეალობებს შორის, რაც ასახავს ადამიანის ცნობიერების არასტაბილურობას და იდენტობის მერყევ ბუნებას.

ლინჩის ფილმებში მრავლადაა მისტიკური ელემენტები — სიზმრები და სიმბოლოები — რაც ქმნის

კინემატოგრაფიულ სივრცეს, სადაც ქალის შინაგანი სამყარო ვიზუალურად და სიუჟეტურად ფორმირდება.

ლინჩი აქტიურად იყენებს ვიზუალურ და აუდიო საშუალებებს, რათა გაამძაფროს პერსონაჟის ემოციური მდგომარეობა.

ამრიგად, ლინჩის კინოში ქალი არა მხოლოდ სიუჟეტის ნაწილი, არამედ კინემატოგრაფიული ენის მთავარი ელემენტია, რომლის მეშვეობითაც რეჟისორი იკვლევს რეალობის არასტაბილურობასა და ადამიანის ფსიქიკის სიღრმეებს. აღნიშნული საკითხის კვლევა მნიშვნელოვანია კინოს თეორიისთვის, რადგან იგი ავლენს ქალი პერსონაჟის ახალ, მრავალმნიშვნელოვან ფორმებს თანამედროვე კინემატოგრაფიაში.

**Nutsa Lamparadze**
Batumi Art State University
BA Program in Audio-Visual Arts, Film Directing/TV Directing, 1st Year
**Supervisor:** Doctor of Art Theory and History – Inga Khalvashi
Georgia, Batumi

## The Female Image, Mysticism, and Identity in the Cinematography of David Lynch

The cinematography of David Lynch is distinguished by its surrealist aesthetics, where the boundaries between reality and illusion are constantly blurred. In Lynch’s films, female characters occupy a central role and are often portrayed as carriers of identity crisis, subconscious fears, and psychological tension.

Lynch’s characters frequently exist within multilayered realities in which dreams, memories, and actual experiences intersect. This

artistic approach emphasizes the instability of human consciousness and the fragmented nature of identity.

Mystical elements such as dreams, symbols, dual realities, and audiovisual metaphors play a significant role in the director's cinematic language. Through these elements, Lynch constructs a cinematic space in which the inner world of female characters is revealed both visually and narratively.

The director actively employs visual composition, sound design, lighting, and symbolic imagery to intensify the emotional and psychological states of his characters. Consequently, in Lynch's cinema, the female figure is not merely a narrative component, but one of the principal elements of cinematic expression through which the director explores the instability of reality and the depths of the human psyche.

The study of this issue is important for film theory, as it reveals new and multifaceted representations of female characters in contemporary cinematography.

**Valentin Vasilev**
Krastyo Sarafov National Academy for Theatre and Film Arts, Bachelor of Arts
**Supervisor:**.Iliana Dimitrova, Project Manager
Bulgaria, Sofia

## How Modern Audiences See Classic Films

This paper explores how modern audiences perceive classic cinema. The aim of the study is to examine the differences between past and present ways of watching and understanding films. Classic films are often slower, with different acting styles and storytelling techniques. Today's audiences are used to faster editing and modern visual effects, which can change how they experience older films. The research is based on the analysis of selected classic movies and audience

reactions. The paper argues that, despite these differences, classic cinema still has artistic and cultural value. It also shows that modern viewers can appreciate classic films when they understand their historical context. The study highlights the importance of preserving and re-evaluating classic cinema in the modern world.

**Lyuben Kraev**
National Academy for Theatre and Film Ars "Krastyo Sarafov" (NATFA)
Faculty: Film and Theatre Arts; Degree: World Cinema in Contemporary Culture (SKSK); M.A. Program
**Supervisor:** Assoc. Prof. Ivan Ivanov, PhD
Bulgaria, Sofia.

## Structures and Dependencies within Contemporary Bulgarian Film Festival Programming

This report is derived from my master's thesis, which deals with observations on the practice and management of commercial film distribution in Bulgaria, and the limitations that arise from its dependence on state and EU guidelines. Spanning the emergence of commercial digital screening technologies from 2011 through 2026, a trend of financial codependence has befallen an ever shrinking number of screening venues, which is not endemic to Southern Europe. Several recommendations arise, prompting this further research into one of the primary drivers of audience interest – the prestige circuit of local film festivals, in order to better judge their impact on viewership habits, Ministry of Culture spending and the overall sustainability of the film screening sector. The methodology of this study consists primarily of interviews with head figures in the Bulgarian festival programming space – ArtFest (*Sofia Film Fest*), *Cinelibri*, *Cinemania*, and smaller players such as *It's Alive* and *Sofia Short Fest*. Findings within the scope of this report amount to a curious distribution of "prime audience slots" throughout the calendar year, which promotes an entrenchment of legacy names while raising additional barriers for

competition from less established players. Conclusions and recommendations include programming optimizations in order to avoid congestion in problematic months of the year and promote home-grown arthouse cinema.

## მუსიკოლოგია/ Musicology

**მონაზონი ნინო სამხარაძე**
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.
საეკლესიო მუსიკოლოგია, დოქტორანტურის მესამე კურსი.
**ხელმძღვანელი:** პროფესორი - თამარ ჩხეიძე
თბილისი, საქართველო

### „სიძის მსახურება“ ქართულ ლიტურგიკულ ტრადიციაში

მოხსენება ეძღვნება ვნების კვირის პირველი სამი დღის ლიტურგიკულ ციკლს, რომელიც ბერძულ ეკლესიაში ცნობილია, როგორც „სიძის მსახურება“. სახელწოდება მომდინარეობს მათეს სახარებაში მოთხრობილი ათი ქალწულის იგავიდან, რომელზეც დაფუძნებულია მსახურების მთავარი საგალობელი: „აჰა ესერა სიძე მოვალს შუაღამესა“. „სიძე“ უფალი იესო ქრისტეს სახე-სიმბოლოა, ხოლო შუაღამეს მოსვლა — მოულოდნელობის აღმნიშვნელია და უფლის მეორედ მოსვლას უკავშირდება.

კვლევა მიმოიხილავს ამ მსახურების ტექსტუალურ და მუსიკალურ სტრუქტურას, ჰიმნოგრაფიული,

სახისმეტყველებითი, იკონოგრაფიული და ესქატოლოგიური ასპექტების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა „სიძის მსახურების“ ტროპრისა და განმანათლებლის სიმბოლურ-თეოლოგიურ შინაარსს, რომელიც „სიძეს“ წარმოაჩენს ქრისტედ, ხოლო მის სასძლოს — ეკლესიად.

მოხსენების ძირითადი მიზანია აჩვენოს, თუ როგორ ქმნის ტექსტისა და მუსიკის ორგანული ერთობა სულიერ დინამიკას, რომელიც მორწმუნეს არა მხოლოდ, ქრისტეს ვნებების თაყვანისცემისათვის განაწყობს, არამედ უფლის მეორედ მოსვლის მოლოდინისაკენ მიმართავს. სწორედ, ეს აძლევს „სიძის მსახურებას“ განსაკუთეეებულ ლიტურგიკულ მნიშვნელობას.

**Nun Nino Samkharadze**
Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire
PhD Program in Church Musicology, 3rd Year. **Supervisor:**
Professor Tamar Chkheidze
Tbilisi, Georgia

**The Service of the Bridegroom in the Georgian Liturgical Tradition**

The report is dedicated to the liturgical cycle of the first three days of Holy Week, known in the Greek Church as the "Service of the Bridegroom." The name derives from the Parable of the Ten Virgins in the Gospel of Matthew, on which the main hymn of the service is based: "Behold, the Bridegroom comes at midnight." The "Bridegroom" is a symbolic image of the Lord Jesus Christ, while His coming at midnight signifies unexpectedness and is associated with the Second Coming of the Lord.

The study examines the textual and musical structure of this service from hymnographic, semiotic, iconographic, and eschatological perspectives. Special attention is given to the symbolic-theological meaning of the troparion and the exapostilarion of the

“Bridegroom Service,” which present Christ as the Bridegroom and the Church as His bride.

The main goal of the report is to show how the organic unity of text and music creates a spiritual dynamic that prepares the faithful not only for the veneration of Christ’s Passion but also directs them toward the anticipation of the Second Coming. This gives the “Service of the Bridegroom” its distinctive liturgical significance.

**თეონა უგულავა**
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია
სადოქტორო პროგრამა „მუსიკოლოგიური კვლევები”
(მუსიკის თეორია)
**ხელმძღვანელი:** პროფესორი - მარიკა ნადარეიშვილი
საქართველო, თბილისი

## იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო ციკლი 5 პარაფრაზა „ძველი თბილისის სიმღერები“ (ციკლურობის განმაპირობებელი ზოგიერთი საკითხის შესახებ)

საგუნდო მუსიკის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია ქართული კულტურის თვითმყოფადი ფენომენია. ტრადიციული მრავალხმიანობა სწორედ ის რეალობაა, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართული საგუნდო მუსიკა. იგი ეტაპობრივად განვითარდა და დღემდე უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ეროვნული კულტურის სივრცეში.

სტატიაში განხილულია მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის გენიალური ქართველი კომპოზიტორის იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო ციკლი - 5 პარაფრაზა „ძველი თბილისის სიმღერები“. ი. კეჭაყმაძის ხსენებული ციკლი შეიქმნა გასული საუკუნის მეორე ნახევარში (1974-75 წ.წ.) და დღემდე

გამორჩეული ნიმუშია როგორც კომპოზიტორის, ისე ქართული საგუნდო მუსიკის ჟანრში.

უნდა აღინიშნოს, რომ იოსებ კეჭაყმაძე ქართულ მუსიკას სწორედ საგუნდო მუსიკის ჟანრის უკიდეგანო განვითარებით ამრავალფეროვნებს. მან შექმნა ისეთი გამორჩეული ნიმუშები, რომლებიც დღემდე არ კარგავენ აქტუალობას. იოსებ კეჭაყმაძემ გასული საუკუნის დასაწყისში მოღვაწე კომპოზიტორის _ ნიკო სულხანიშვილის ტრადიცია განაგრძო, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფესვებთან.

5 პარაფრაზა „ძველი თბილისის სიმღერები" გამორჩეული ნიმუშია, როგორც ეროვნული თვითმყოფადი მრავალხმიანობის სახე, და ასევე, თბილისური მონოდიური აშუღური ინტონირების ანარეკლი. აღნიშნული ციკლი გამორჩეული და საინტერესო ნიმუშია, როგორც მულტიკულტურული ტრადიციის განსახიერებისა. ციკლი შედგება 5 ნაწილისგან: 1)„ კარგი იყო არ გამეცნე თავიდან" (იეთიმ გურჯის ლექსზე); 2) „ავარ, ავარ დავდივარ"(ხალხურ ლექსზე); 3)„კეკელჯან" (ხალხურ ლექსზე); 4) „ახ თვალებო, თვალებო" ( გიორგი სკანდარნოვას ლექსზე); და 5) „ჩემ სიმღერას ვინ გაიგებს" (იეთიმ გურჯის ლექსზე).

სტატიაში განხილულია ის ძირითადი მახასიათებლები, რაც კომპოზიციას ციკლურობის ლოგიკას უქვემდებარებს, აღნიშნულია ნაწარმოების ჰარმონიული ენისა და მუსიკალური გამომსახველობის სხვა საშუაელებების თავისებურებები.

**Teona Ugulava**
Tbilisi Vano Sarajishvili State Conservatoire
PhD Program in Musicology, 3rd Year
**Supervisor:** Professor Marika Nadareishvili
Georgia, Tbilisi

## Joseb Kechakmadze's Choral Cycle - Five Paraphrases 'Songs of Old Tbilisi' (Some Aspects That Define the Unity of the Cycle)

The centuries-old tradition of choral music is a unique phenomenon of Georgian culture. Traditional polyphony is the foundation on which Georgian choral music was formed. It developed gradually and still holds a very important place in the national cultural space today.

The article discusses the choral cycle '5 Paraphrases: Songs of Old Tbilisi' by the outstanding Georgian composer Ioseb Kechakmadze from the second half of the 20th century. This cycle was created in 1974–75 and remains an important example both in the composer's work and in the genre of Georgian choral music.

